# მეათედი და მარხვის შემოწირულობები



„მოიტანეთ მთელი მეათედი საგანძურში და იყოს საზრდო ჩემს სახლში. აბა, გამომცადეთ ამით, ამბობს ცაბაოთ უფალი, თუ არ გაგიხსნათ ცის საქანელნი და არ გადმოგიცალოთ კურთხევა აუწყველად.“

(მალაქია 3:10)

თქვენ მამაზეციერს უყვარხართ და სურს, რომ აკურთხოს თქვენი ცხოვრება ყველანაირად. მცნებები რომლებსაც ის გვაძლევს, მისი წინასწარმეტყველების მეშვეობით, დაგეხმარებათ ბედნიერად ცხოვრებაში. მეათედის მცნება აღდგენილ იქნა წინასწარმეტყველი იოსებ სმითის მეშვეობით და გაძლევთ იმის შესაძლებლობას, რომ მონაწილეობა მიიღოთ ღვთის სასუფეველის აღშენებაში ამქვეყნად. ამ მცნების დაცვა აუცილებელია, რომ მოინათლოთ უკანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიაში.

*დიდი კურთხევები არის მათთვის დაპირებული, ვინც ემორჩილება მცნებებს და იხდის მეათედს.*

## *რა არის მეათედი?*

მეათედი არის ღმერთის ეკლესიისათვის შემოსავლის ერთი მეათედის შესაწირავი. ეს მცნება ცნობილი იყო ძველ აღთქმის დროიდან. წინასწარმეტყველი მალაქია ასწავლიდა მეათედის მნიშვნელობაზე და იმ კურთხევებზე, რომლებსაც ვიღებთ ამ კანონის დაცვით:

„მოიტანეთ მთელი მეათედი საგანძურში და იყოს საზრდო ჩემს სახლში. აბა, გამომცადეთ ამით, ამბობს ცაბაოთ უფალი, თუ არ გაგიხსნათ ცის საქანელნი და არ გადმოგიცალოთ კურთხევა აუწყველად“ (მალაქია 3:10).

1838 წელს წინასწარმეტყველი იოსებ სმითის მეშვეობით, უფალმა გაიმეორა ეს მცნება:

„ჩემი ხალხი. . . გადაიხდის ერთ მეათედს მოსავლის მეათედს ყოველ წელს და ეს იქნება მათთვის მტკიცე კანონი სამუდამოდ“ (მოძღვრება და აღთქმები 119:3–4). *მოსავალი* იგულისხმება შემოსავალი.

თქვენი მეათედი უფალისათვის არის წმინდა და თქვენ მას პატივს სცემთ მეათედის გადახდით. მეათედის გადახდა არის თქვენი რწმენის გამოხატვა ღმერთისადმი და მისი საქმისადმი.

## რატომ უნდა შევწირო მეათედი?

ყველაფერი, რასაც თქვენ იღებთ ცხოვრებაში, არის საჩუქარი მოყვარული მამაზეციერისაგან. როდესაც საპასუხოდ თქვენ მისთვის სწირავთ 10 პროცენტს, ამით თქვენ გამოხატავთ სიყვარულს, რწმენას და მადლიერებას. თქვენ უფალს ამით უჩვენებთ, რომ მას გაჰყვებით, იმის მიუხედავად, რომ შეიძლება ეს იყოს რთული, ამით თქვენ აჩვენებთ, რომ ენდობით მას და არ გირჩევნიათ მასზე მეტად ფული და მატერიალური სიმდიდრე. თქვენი ერთგულების სანაცვლოდ, მამაზეციერი გპირდებათ ბევრად უფრო დიდ კურთხევებს, ვიდრე თქვენ ოდესმე შესწირავთ.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ადამიანებს უჭირთ იმის დაჯერება, რომ მათ შეუძლიათ გაიღონ მათი შემოსავლის ერთი მეათედი, მორწმუნე მეათედის გადამხდელები სწავლობენ იმას, რომ მათ არ შეუძლიათ მეათედის არ გადახდა. ჭეშმარიტად,





საუცხოო გზით, ზეციური ფანჯარა იღება და მათზე უხვად მოედინება კურთხევები. ისე, როგორც ერთმა ქვრივმა დედამ აუხსნა თავის შვილს, „მე ვერ გაგზრდიდით, უფალის კურთხევების გარეშე და მე ვიღებ ამ კურთხევებს, ჩემს მიერ პატიოსნად მეათედის გადახდით. როდესაც ვიხდი მეათედს, მე ვიღებ უფალის დაპირებას, რომ ის ჩვენ გვაკურთხებს და ჩვენ რომ არ გაგვიჭირდეს, უნდა მივიღოთ ის კურთხევები“ (დალინ ჰ. ოაკსი, *Ensign*, მაისი 1994, 33).

*მეათედის გადახდა აჩვენებს თქვენ რწმენას იესო ქრისტეში. როდესაც თქვენ მას ენდობით, თქვენ მიიღებთ ძალას, თანადგომას და დახმარებას, რომელიც გჭირდებათ თქვენს ცხოვრებაში.*

სულიერ სიმტკიცეს ვიღებთ უფალზე დაყრდნობით. როდესაც წინ გველის ცხოვრებისეული წინააღმდეგობები, ჩვენ უნდა გავაძლიეროთ რწმენა, ზეშთაგონება და სიმამაცე. ეს კურთხევები მოგვეფინება ზეციური ფანჯრიდან ჩვენს მიერ მეათედის კანონის მორჩილების საპასუხოდ.

დამატებით შეიძლება ითქვას, რომ მრავალი ადამიანი აღმოაჩენს იმას, რომ მეათედის გადახდით უკეთესად მართავენ თავიანთ ფინანსებს და ხარჯებს. მეათედის გადახდა გვასწავლის ჩვენი სურვილების მართვას, მატერიალური სიმდიდრეების მიმართ და მოყვასისადმი პატიოსნებას. მეათედის გადახდით ჩვენ ვსწავლობთ ნდობას, რომ



ის რაც მოგვეცა უფალის კურთხევებით და ჩვენი ბეჯითი შრომით, არის ჩვენი საჭიროებებისათვის საკმარისი.

არ აქვს მნიშვნელობა, თუ რამხელა შემოსავალი გაქვთ, თქვენ მიიღებთ კურთხევებს მეათედის გადახდით. როდესაც იესომ დაინახა, თუ როგორ გადაიხადა ქალმა ორი გროში ტაძრის შესაწირავში, მან უთხრა თავის მოწაფეებს ამ საწყალმა ქვრივმა ყველაზე მეტი ჩააგდო საგანძურში. ვინაიდან ყველა აგდებდა იმას, რაც ზედმეტი ჰქონდა, ხოლო მან ჩააგდო მთელი თავისი სისაწყლე, მთელი თავისი საბადებელი.“ (მარკოზი 12:43–44).

## *როგორ გამოიყენება მეათედის ფონდი?*

მეათედი არის ღმერთის მიერ მოცემული კანონი ეკლესიის ფინანსური სახსრებისთვის. მეათედის შემოწირულობები ყოველთვის გამოიყენება უფალის მიზნებისათვის, რომლებსაც ის ანდობს მის მსახურების საბჭოს. ზოგიერთი ამ მიზნებიდან არის:

- ტაძრების, ეკლესიების და სხვა საეკლესიო შენობების მშენებლობა და მოვლა.
- ადგილობრივი ეკლესიის ღონისძიებების და მოქმედების მხარდასაჭერად.
- ეკლესიის პროგრამების მხარდაჭერა, საგანმანათლებლო და გენიოლოგიური კვლევის ჩათვლით.

მეათედის გადახდა ხდება პირადად და ინფორმაცია შემოწირულობების შესახებ არის კონფიდენციალური.



## მარხვა და მარხვის შემოწირულობანი

მეათედის გარდა ჩვენ ასევე გვაქვს მცნება, რომ სახსრებით დავეხმაროთ ღარიბებს და გაჭირვებულებს. ერთერთი გზა ამის გასაკეთებლად არის მარხვა, დღის განმავლობაში ორი კერძის და სასმელის გარეშე. უფალმა აღადგინა მარხვის კანონი, წინასწარმეტყველი იოსებ სმითის მეშვეობით და ეკლესია თვეში ერთ კვირა დღეს გამოჰყოფს მარხვისათვის. მარხვა, რომელიც ყოველთვის ახასიათებდა ჭეშმარიტ ეკლესიას, არის სულიერი განახლების და მამაზეციერთან დაახლოების შესაძლებლობა.

მარხვისას, როგორც წესი, ეკლესიის წევრები აკეთებენ გულუხვ, მარხვის შემოწირულობებს გაჭირვებულებისათვის და ღარიბებისათვის. ეს შემოწირულობა უნდა იყოს არანაკლებ ორი კერძის ღირებულების, რომელიც ეკლესიის წევრმა დაზოგა მარხვისას. ეს ფონდები გამოიყენებიან ადგილობრივი და მთელი მსოფლიოს გაჭირვებული ადამიანებისათვის საჭმლით, თავშესაფრით და სხვა საჭიროებებით დასახმარებლად.

არ არსებობს რაიმე განსაზღვრული თანხა მარხვის შემოწირულობისათვის. როდესაც გულუხვად შესწირავთ ამ თანხებს, თქვენ მიიღებთ კურთხევებს სულიერად და მატერიალურად, თქვენი სურვილისათვის, რომ დაეხმაროთ გაჭირვებულებს.





## დამატებითი სამეცადინო მასალა

ქვევით მოყვანილი კითხვები და წმინდა წერილები დაგეხმარებათ ამ ბროშურაში მოცემული პრინციპების გააზრებაში და უფრო ღრმად შესწავლაში. წმინდა წერილებში მოყვანილი შენიშვნები და მითითებები მოგცემთ დამატებით სასწავლო მასალას ამ პრინციპების შესახებ.

### რატომ არის მნიშვნელოვანი მეათედი?

ლევიანები 27:30 (ბიბლია, ძველი აღთქმა)

ლუკა 12:16–21 (ბიბლია, ძველი აღთქმა)

### როგორ კურთხევებს ვიღებთ მეათედის გადახდით?

მალაქია 3:8–12 (ბიბლია, ძველი აღთქმა; იხილეთ ასევე 3 ნეფი 24:8–12, მორმონის წიგნი, გვერდი 455)

მათე 6:31–33 (ბიბლია ახალი აღთქმა; იხილეთ ასევე 3 ნეფი 13:31–33, მორმონის წიგნი, გვერდი 435)

"Tithing," *True to the Faith* (მისიონერებს ან ეკლესიის წევრებს შეუძლიათ დაგეხმარონ ამ წიგნის ასლის მისაღებად. თქვენ შეგიძლიათ მოიძიოთ ის ვებგვერდზე www.mormon.org.)

### როგორ შემიძლია დავეხმარო ღარიბს და გაჭირვებულს?

ისაია 58:6–7 (ბიბლია, ძველი აღთქმა)

მათე 19:21 (ბიბლია, ახალი აღთქმა)

მოსია 4:26 (მორმონის წიგნი, გვერდი 157)

## რა უნდა გავაკეთოთ?




- გააგრძელეთ მორმონის წიგნის კითხვა.
  წასაკითხი მასალა: ____________________
  ________________________________________

- დაიწყეთ სრული მეათედის გადახდა. ილოცეთ დახმარებისათვის, რომ დაიცვათ ეს მცნება.

- დაესწარით საეკლესიო შეკრებებს ამ კვირა დღეს.

- გააგრძელეთ ნათლობისათვის მომზადება.
  ნათლობის თარიღი: ____________________

- ეწვიეთ ვებგვერდს www.mormon.org რათა უფრო მეტი გაიგოთ უკანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის შესახებ.

- გააგრძელეთ შეხვედრები მისიონერებთან, რომ უფრო მეტი ისწავლოთ იმის შესახებ, თუ როგორ აკურთხებს ღმერთის მცნებები თქვენს ცხოვრებას.

  შემდეგი შეხვედრა: ____________________

  მისიონერის სახელი და ტელეფონის ნომერი:

  ________________________________________
  ________________________________________
  ________________________________________

უკანასკნელი დღეების
წმინდანთა
იესო ქრისტეს
ეკლესია

www.mormon.org

**სურათების მონაცემები**
ყდაზე გამოსახულია, დეტალი ნახატიდან *ქრისტე და მდიდარი ახალგაზრდა გვაროვანი*, ჰეინრიხ ჰოფმანი, Harrison Conroy Co., Inc.-ს თავაზიანობით.
გვერდი 8 დეტალი ნახატიდან *ყველაფერი, რაც მას ებადა*, საიმონ დუი. © საიმონ დუი
გვერდები 5, 6, 11, 13, 14. © Marina Lukach

© 2012 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლებები დაცულია. დაბეჭდილია აშშ–ი. ინგლისურად დამტკიცებულია: 11/05. თარგმანი დამტკიცებულია: 11/05.
თარგმანი *Tithing and Fast Offerings*. Georgian. 01135 131

GEORGIAN
4 02011 35131 5
01135 131